ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №73
2019 წლის 25 აპრილი

ქ. ბორჯომი

„ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 20 მარტის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 20 მარტის №11 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 25/03/2015, 240120100.35.139.016182) და დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური, საქართველოს კანონმდებლობის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი გოგიჩაიშვილი**